პროექტი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება №

---აგვისტო 2021 წელი

ქალაქ თბილისში, ჩუღურეთის რაიონში, ტყის ქუჩისთვის და I ჩიხისთვის ექიმის, პროფესორის იოსებ აბაკელიას ქუჩის სახელის მინიჭების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის - "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტის, „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილებისა და „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის №14-59 დადგენილების თანახმად, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. ჩუღურეთის რაიონში, ტყის ქუჩას და I ჩიხს მიენიჭოს ექიმის, პროფესორის იოსებ აბაკელიას ქუჩის სახელი, თანდართული რუკის თანახმად.

2. ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ, ოთხი თვის ვადაში, უზრუნველყოს ამ განკარგულების შესასრულებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელება.

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64).

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე

10+



ტუბერკულოზისა და ფილტვის
დაავადებათა ეროვნული
ცენტრი

NATIONAL CENTER FOR
TUBERCULOSIS AND LUNG
DISEASES

№ 1803/01/7
13 07 2021

10/032 119433-03

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიას

მოგეხსენებათ, რომ საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტის, „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილებისა და „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის №14-59 დადგენილების (შემდგომში - რეგულაციები) თანახმად, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო იღებს გადაწყვეტილებას თავის სამოქმედო ტერიტორიაზე მდებარე გეოგრაფიული ობიექტის - „ქუჩის" სახელდების, მათ შორის, მისთვის უკვე სახელმინიჭებული ძველი სახელწოდების შეცვლის (გადარქმევის) შესახებ.

სს „ტუბერკულოზისა და ფილტვის დაავადებათა ეროვნული ცენტრი" (სამართლებრივი ფორმა: სააქციო საზოგადოება; საიდენტიფიკაციო ნომერი: 202172139; რეგისტრაციის ნომერი, თარიღი: 2/5-114; 15/01/2001.; მარეგისტრირებელი ორგანო: დიდუბე-ჩუღურა. რ-ნის სასამართლო; იურიდიული მისამართი: საქართველო, თბილისი, ჩუღურეთის რაიონი, აჭარის ქ.,№8. დამატებითი ინფორმაცია: ელ. ფოსტა: tbcenter@tbgeo.ge), თავისი შრომითი კოლექტივის, მათ შორის, ქვეყანაში, ამავე ცენტრის წილობრივი მონაწილეობით ფუნქციონირებადი „ფილტვის დაავადებათა მართვაზე" პასუხისმგებელი სხვადასხვა სამედიცინო დაწესებულებებისა და დარგის დამსახურებული სპეციალისტების სახელით მიიჩნევს, რომ დედაქალაქში არსებულ რომელიმე ქუჩას უნდა ეწოდოს იოსებ აბაკელიას სახელი, საზოგადო მოღვაწისა და დარგის ღვაწლმოსილი პროფესორის ხსოვნისა და უკვდავყოფის პატივისცემის ნიშნად. ასეთ ქუჩათაგან, უფრო უპრიანი და სამართლიანი იქნება, თუ შეირჩევა ქვეყანაში ტუბერკულოზისა და ფილტვის დაავადებათა მართვის

www.tbgeo.ge

თბილისი, 0101, აჭარის ქ. №8 (მარუაშვილის ქ. №50). ტელ.: (+995 32) 91-02-51; ფაქსი: (+995 32) 91-02-52. ელ-ფოსტა: tbcenter@tbgeo.ge
8 Adjara str. (50 MaruaSvili str.) Tbilisi, 0101. Tel.:(+995 32) 91-02-51; Fax: (+995 32) 91-02-52. E-mail: tbcenter@tbgeo.ge

ეროვნული ფლაგმანის - მითითებული ცენტრის სიახლოვეს (მიმდებარედ) არსებული ქუჩა. ასეთად მიგვაჩნია ჩუღურეთის რაიონში მდებარე „ტყის ქუჩა“ - რომელიც WGS 84 UTM კოორდინატთა სისტემით იწყება X - 484154.467 Y – 4618969.820 და მთავრდება X – 485170.888 Y - 4619190.924

უპირველეს ყოვლისა, გვსურს რამდენიმე სიტყვა ვთქვათ, კაცობრიობის მსგავსად ხანდაზმული დაავადების - „ტუბერკულოზის“ შესახებ. *(„ტუბერკულოზი ისევე ხანდაზმულია, როგორც კაცობრიობა" - მედიცინის ისტორიის ფრანგული სკოლა)*

„ტუბერკულოზი“ არის გადამდები ინფექციური დაავადება, რომელიც დღემდე წარმოადგენს არა მხოლოდ რომელიმე ერთი ქვეყნის, არამედ ზოგადსაკაცობრიო პრობლემას.

ტუბერკულოზის პირველი კვალი საქართველოში ჩვ. წელთაღრიცხვის VI-VII საუკუნეების ნამარხებშია აღმოჩენილი, სადაც ნამარხი ნაშთების შესწავლით ტუბერკულოზური სპონდილიტი დაფიქსირდა.

დამოუკიდებელი საქართველოს პერიოდში, 1918-1921 წწ–ში ეროვნული მთავრობის ყურადღება გამახვილდა ეპიდემიებზე, მათ შორის, ჭლექზე. ამ პერიოდში იწყებს მოღვაწეობას ფთიზიატრიის ფუძემდებელი საქართველოში – იოსებ აბაკელია, რომელიც საქართველოში სასანიტარო ინსტიტუტის დაარსებისა და ეპიდემიურ დაავადებებთან ბრძოლის ინიციატორად გვევლინება.

იოსებ აბაკელია (1882-1938 წწ.) გახლდათ საქართველოში მეცნიერული ფთიზიატრიის ფუძემდებელი, საზოგადო მოღვაწე, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი. მან 1903 წელს დაამთავრა ქუთაისის კლასიკური გიმნაზია და ოდესის (ნოვოროსიის) უნივერსიტეტში შევიდა. სწავლის პერიოდში, რევოლუციურ მოძრაობაში მონაწილეობისათვის ის დააპატიმრეს და განთავისუფლების შემდეგ ოდესაში ცხოვრება აეკრძალა, რის გამოც სწავლის გაგრძელება ვერ შეძლო. 1911 წელს დაამთავრა მოსკოვის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტი. ის აქტიურად მონაწილეობდა რევოლუციურ მოძრაობაში და რამდენჯერმე იყო დაპატიმრებული. 1918 წლის თებერვალში საქართველოში დაბრუნდა. ჩამოსვლისთანავე აირჩიეს ესერთა პარტიის ამიერკავკასიის საოლქო კომიტეტის წევრად და კომიტეტის თავმჯდომარის ამხანაგად (მოადგილედ). ის აქტიურად მონაწილეობდა პოლიტიკურ პროცესებში. საქართველოს პირველ ეროვნულ ყრილობაზე აირჩიეს ეროვნული საბჭოს წევრად ესერთა პარტიიდან და ფუნქციონირების ამოწურვამდე

რჩებოდა ამ საკანონმდებლო ორგანოს (პარლამენტის) შემადგენლობაში. 1918 წლის 1 ივნისს, დამოუკიდებელი საქართველოს ეროვნული საბჭოს პირველ სხდომაზე აირჩიეს ეროვნული საბჭოს მდივნის თანაშემწედ. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დაცემის შემდეგ, ჩამოცილდა პოლიტიკურ საქმიანობას. 1922 წელს მისი თაოსნობით თბილისში დაარსდა ტუბერკულოზის ამბულატორია, 1930 წლიდან კი ტუბერკულოზის რესპუბლიკური ინსტიტუტი, რომლის დირექტორიც თვითონ იყო. 1935-1938წწ. ხელმძღვანელობდა თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის მის მიერვე დაარსებულ ტუბერკულოზის კათედრას. 1933 წლიდან კითხულობდა ტუბერკულოზის კურსს ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტში. 1921 წელს გამოაქვეყნა ტუბერკულოზის პირველი ქართული სახელმძღვანელო. გამოიკვლია ორგანიზმში ტუბერკულოზის გავრცელების მანამდე შეუსწავლელი ლიმფური გზები. ქართველ ფთიზიატრებთან ერთად საქართველოს ყველა კუთხეში ფართოდ გაშალა ტუბერკულოზთან ბრძოლის ორგანიზაციული და მეცნიერულ-პრაქტიკული საქმიანობა. ის დიდ ყურადღებას უთმობდა კურორტ აბასთუმნის განვითარებას. მიუხედავად ამ დიდი დამსახურებისა და სფეროს აქტუალობისა, მაინც რეპრესიების მსხვერპლთა შორის აღმოჩნდა.

მოგეხსენებათ, რომ ცხოვრებაში ადამიანი ფიგურირებს როგორც პირი (ფიზიკური პირი) და როგორც პიროვნება. პირი და პიროვნება ადამიანის ორი ურთიერთგანსხვავებული ინდივიდუალური მახასიათებელია.

პიროვნება ადამიანის სულიერ ღირებულებათა ერთობლიობაა. გარდაცვალებით ადამიანი, როგორც პიროვნება, როგორც განსაკუთრებული სულიერი ღირებულება კი არ ქრება, არამედ გრძელდება მისი სოციალური ზემოქმედება. იგი რჩება ადამიანთა ცნობიერებაში და გარდაცვალების შემდეგაც ინარჩუნებს ღირებულებით თვისებებს საზოგადოებისათვის.

იოსებ აბაკელია, პირველ რიგში პიროვნებაა. მისი ფასდაუდებელი ღვაწლის პატივისცემის დასადასტურებლად, ჩვენი პროფესიული და სამოქალაქო პასუხისმგებლობის საკითხია, ჩვენი ვალია უკვდავყოთ მისი სახელი, რომ მარადიულად გაიხსენიონ თაობებმა გზა, რომელიც ისტორიულად განვლო ჩვენმა დიდმა მეცნიერმა. მადლობა ვუთხრათ მას იმ საქმისა და პიროვნული თავგანწირვისათვის, რაც მან გასწია ჯანმრთელობის დაცვის სფეროში და საერთოდ, სამშობლოსათვის. ჩვენ უნდა ვიამაყოთ იმით, რომ გვაქვს შესაძლებლობა, გავიხსენოთ და უკვდავყოთ სახელი ადამიანისა, ვინც ღრმა და წარუშლელი კვალი დატოვა ტუბერკულოზის მკურნალობის როგორც დოქტრინული, ისე პრაქტიკული მიმართულებით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გთხოვთ, რეგულაციების ფარგლებში და დადგენილი წესით, კომისიურად გამოხატოთ ინიციატივა, რათა შესაძლებელი გახდეს სს „ტუბერკულოზისა და ფილტვის დაავადებათა ეროვნული ცენტრი"-ს (სამართლებრივი ფორმა: სააქციო საზოგადოება; საიდენტიფიკაციო ნომერი: 202172139; რეგისტრაციის ნომერი, თარიღი: 2/5-114; 15/01/2001.; მარეგისტრირებელი ორგანო: დიდუბე-ჩუღურ. რ-ნის სასამართლო; იურიდიული მისამართი: საქართველო, თბილისი, ჩუღურეთის რაიონი, აჭარის ქ.,№8. დამატებითი ინფორმაცია: ელ. ფოსტა: tbcenter@tbgeo.ge) მიმდებარედ არსებულ „ტყის ქუჩას" გადაერქვას სახელი და ეწოდოს „იოსებ აბაკელიას ქუჩა" ან „იოსებ აბაკელიას ხეივანი" (მათ შორის, იოსებ აბაკელიას ქუჩის გავრცელების არეალის განსაზღვრის, შესაბამისი აბრების დამზადების, ნუმერაციის განსაზღვრის, რეგისტრაციის და აღრიცხვის კუთხით, როგორც ეს კანონმდებლობით არის ეს გათვალისწინებული.)

ჩვენი მოტივაცია და დასაბუთება იოსებ აბაკელიას ქუჩის სახელდების მიზანშეწონილობის თაობაზე განსახილველად მოგეწოდებათ ამ სახით და იმედს ვიტოვებთ, რომ თქვენი გულისხმიერების ფარგლებში საკითხზე მიღებული იქნება დადებითი გადაწყვეტილება.

განცხადებას თან ერთვის საჭირო ხელმოწერები და დოკუმენტაცია.

დანართი: --2-------- (----ორი-----------) ფურცელი

პატივისცემით,

მამუკა გელოვანი

დირექტორის მ/შ

სს „ტუბერკულოზისა და ფილტვის დაავადებათა ეროვნული ცენტრის“ დირექტორი; მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი - ზაზა ავალიანი

დირექტორის მოადგილე სამკურნალო დარგში; მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი; პროფესორი - ნანა ქირია

დირექტორის მოადგილე ფინანსურ დარგში - მამუკა გელოვანი

დირექტორის მოადგილე სამეურნეო დარგში - ზაზა ალიბეგაშვილი

ადმინისტრაციული მენეჯერი; ექიმი ფთიზიატრ-პულმონოლოგი - პაატა ალადაშვილი

II თერაპიული განყოფილების ხელმძღვანელი - მარინა ჯანელიძე

IV თერაპიული განყოფილების ხელმძღვანელი; მედიცინის აკადემიური დოქტორი - ლალი კუპრეიშვილი

ქირურგიული განყოფილების ხელმძღვანელი; პროფესორი - შოთა გოგიშვილი

დისპანსერული განყოფილების ხელმძღვანელი - ლეილა გოგინაშვილი

ენდოსკოპიური განყოფილების ხელმძღვანელი; ფთიზიატრიის კათედრის ხელმძღვანელი; მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი - კახა ვაჭარაძე

დიაგნოსტიკური განყოფილების ექიმი გინეკოლოგი; მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი - გურანდა ლორთქიფანიძე

ლაბორატორიული სამსახურის ხელმძღვანელი - რუსუდან ასპინძელაშვილი



N	X	Y
1	484154.467	4618969.820
2	484299.459	4619062.954
3	484475.671	4619133.068
4	484683.370	4619151.589
5	484904.562	4619162.702
6	485138.983	4619192.335
7	485170.888	4619190.924

10/032107772-0

ტუბერკულოზისა და ფილტვის
დაავადებათა ეროვნული
ცენტრი

NATIONAL CENTER FOR
TUBERCULOSIS AND LUNG
DISEASES

№ 626/01-17
18 03 2021

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარეს, გიორგი ტყემალაძეს

ბ-ნო გიორგი,

ტუბერკულოზისა და ფილტვის დაავადებათა ერონული ცენტრი წარმოადგენს ტუბერკულოზის სადიაგნოსტიკო და სამკურნალო დაწესებულებას საქართველოში. ორგანიზაციის საქმიანობის ასპექტები, მათი განვითარება და დღევანდელ დღემდე მოტანა რამდენიმე განსაკუთრებული პიროვნების მოღვაწეობის შედეგია. ჩვენი დიდი სურვილია, პატივი მივაგოთ ერთ-ერთ მათგანს და ქალაქის რომელიმე უსახელო ქუჩას დაერქვას იოსებ აბაკელიას სახელი.

იოსებ აბაკელია იყო საქართველოში ფთიზიატრიის ფუძემდებელი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი. მისი თაოსნობით დაარსდა პირველი ტუბერკულოზის ამბულატორია(1922) და ტუბერკულოზის რესპუბლიკური ინსტიტუტი (1930), რომლის დირექტორიც იყო 1938 წლამდე. 1921 წელს გამოაქვეყნა ტუბერკულოზის პირველი ქართული სახელმძღვანელო. ქართველ ფთიზიატრებთან ერთად საქართველოს ყველა კუთხეში ფართოდ გაშალა ტუბერკულოზთან ბრძოლის ორგანიზაციული და მეცნიერულ-პრაქტიკული საქმიანობა. დიდი ყურადღებას უთმობდა კურორტ აბასთუმნის განვითარებას. მიუხედავად ამ დიდი დამსახურებისა და სფეროს აქტუალობისა, მაინც აღმოჩნდა რეპრესიების მსხვერპლთა შორის.

ძნელია, სრულად მოვუყაროთ თავი ი. აბაკელიას დამსახურებათა ჩამონათვალს. შესაბამისად, მის ბიოგრაფიასა და მოღვაწეობის ამსახველ მოკლე მასალას თან ვურთავთ წერილს 5 გვერდად.

ჩვენი გუნდის სახელით, გამოვხატავთ უდიდეს მოწიწებას ამ დიდი ადამიანის მიმართ და იმედს ვიტოვებთ, ქ. თბილისის საკრებულოს ხელშეწყობით მალე მოხდება ერთ-ერთი ქუჩის სახელდება , რითიც აღვასრულებთ ამ მნიშვნელოვან საქმეს.

ქ. თბილისი, 0101, აჭარის ქ. №8. ტელ.: (+995 32) 91-02-51; ფაქსი: (+995 32) 91-02-52. ელ-ფოსტა: tbcenter@tbgeo.ge

პატივისცემით,

ზაზა ავალიანი,

ტუბერკულოზისა და ფილტვის დაავადებათა

ეროვნული ცენტრის დირექტორი

დანართი

იოსებ აბაკელია (1882-1838)- მედიცინის დოქტორი, პროფესორი, ტუბერკულოზთან ბრძოლის საქმის ორგანიზატორი, საქართველოში ფთიზიატრიის დარგის ფუძემდებელი

იმ მწირი ცნობების მიხედვითაც კი, რომელიც ი. აბაკელიას შესახებ არსებობს, სრულიად ნათელია, რამდენად ფიგურალურ პიროვნებასთან გვაქვს საქმე და რამდენად შეუფასებელია მისი ღვაწლი ქართული ჯანდაცვის სისტემის, სამედიცინო განათლების, სამეცნიერო-პრაქტიკული, საორგანიზაციო და ეპიდემიოლოგიურ-სტატისტიკური მიმართულებების, ტუბერკულოზთან ბრძოლისა და ფთიზიატრიის, როგორც მედიცინის ერთ-ერთ დარგის, განვითარების საქმეში. ცალკე განხილვის თემაა მისი პიროვნული თვისებები, მაღალი მოქალაქეობრივი და ეროვნული თვითშეგნება.

ი. აბაკელიამ თავისი ცხოვრება და მოღვაწეობა მთლიანად სახალხო სარგებელს, საზოგადოებრივ საქმიანობასა და პროფესიულ მოღვაწეობას შესწირა ამ სიტყის პირდაპირი მნიშვნელობით.

მოკლე ბიოგრაფიული ცნობები

იოსებ აბაკელიამ 1903 წელს ქუთაისის კლასიკური გიმნაზიის დასრულების შემდეგ ჩააბარა ოდესის (ნოვოროსიის) უნივერსიტეტში, მაგრამ რევოლუციურ მოძრაობაში მონაწილეობისათვის იგი დააპატიმრეს, 21 თვის პატიმრობის შემდეგ გაამართლეს, მაგრამ ოდესის „გრადონაჩალნიკმა“ ტოლმაჩოვმაო დესაში ცხოვრება აუკრძალა. თუმცა, ტოლმაჩევის საიდუმლო მიწერილობის წყალობით უნივერსიტეტის კარები მისთვის დახშული შეიქნა კიევსა და ხარკოვშიც. მხოლოდ 1909 წელს შევიდა იოსები მოსკოვის უნივერსიტეტის საექიმო ფაკულტეტზე თვით პროფ. ტარასევიჩისა და დიოშინის თავდებობით. მას მერე ისევ იყო დაპატიმრება-გათავისუფლება და ციმბირში გადასახლებაც კი, მაგრამ იმდენად გამორჩეული თვისებებისა და ნიჭიერების სტუდენტი იყო, რომ თავად რექტორ მანუილოვისა და სტუდენტთა შუამდგომლობით ადმინისტრაციამ გააუქმა თავისი დადგენილება(!), მან ციმბირს თავი დააღწია და საბოლოოდ,1911 წელს დაამთავრა მოსკოვის უნივერსიტეტის საექიმო ფაკულტეტი. უნივერსიტეტის დასრულების შემდეგ, აბაკელია გურიაში (ოზურგეთი სმაზრაში) მუშაობდა ექიმად. 1913 წლის დასასრულს ფინლიანდიას გაემგზავრა სახელმწიფო სანატორიუმში „ხალილა“, სადაც სპეციალურად შეისწავლა „გულმკერდის დაავადებები“ (უმთავრესად ჭლექი) და სანატორიუმის საქმის სასურველ ნიადაგზე დაყენება. იქვე დაწერა შრომა რუსულ ენაზე: „Къ вопросу о роли трахеобронхіальныхъ железъ при туберкулезной инфекціи и о возможной локализаціи первичнаго гнѣзда“. 1914 წელს სამხედრო სამსახურში გაიწვიეს და უფროს ექიმად დანიშნეს მე-20 არტილერიის პარკის ბრიგადაში. 7 თვეს იყო კავკასიის ფრონტზე. რევოლუციის დროს იყო მე-11 არმიის სამხედრო-რევოლუციური კომიტეტის წევრი და რწმუნებული იმავე არმიის კომისარისა, დასამხრეთ-დასავლეთის სანიტარულ საბჭოთა საბჭოს წევრი.

1918 წლის თებერვალში იოსებ აბაკელია საქართველოში დაბრუნდა. ჩამოსვლისთანავე აირჩიეს ესერთა პარტიის ამიერკავკასიის საოლქო კომიტეტის წევრად და კომიტეტის თავმჯდომარის ამხანაგად (მოადგილედ). აქტიურად მონაწილეობდა პოლიტიკურ პროცესებში.

1918 წლის 26 მაისს ხელი მოაწერა საქართველოს დამოუკიდებლობის დეკლარაციას!

ამავე წელს, საქართველოს პირველ ეროვნულ ყრილობაზე, აირჩიეს **ეროვნული საბჭოს** წევრად ესერთა პარტიიდან და ფუნქციონირების ამოწურვამდე რჩებოდა ამ საკანონმდებლო ორგანოს (პარლამენტის) შემადგენლობაში.

1918 წლის 1 ივნისს, დამოუკიდებელი საქართველოს ეროვნული საბჭოს პირველ სხდომაზე, აირჩიეს ეროვნული საბჭოს მდივნის, დ. ონიაშვილის თანაშემწედ.

1918-21 წლებში ტუბსაწინააღმდეგო მოღვაწეობა

აქტიური პარტიული მოღვაწეობის მიუხედავად, ტუბერკულოზთან ბრძოლას შეუპოვრად და თანმიმდევრულად ახორციელებდა. ქვეყანაში სხვადასხვა ინფექციური დაავადების,მათ შორის ტუბერკულოზის გავრცელების პირობებში დაიბადა "ჭლექთან ბრძოლის ქართული **საზოგადოების**" შექმნის იდეაც, რომელიც 1918 წლის 19 ნოემბერს განხორციელდა. ახალი საზოგადოების გამგეობაში თავმჯდომარის ამხანაგი(მოადგილე) ცხადია, იყო ი. აბაკელია. მისივე ინიციატივით, საზოგადოების ბეჭდვითი ორგანო "მოამბე" იმავე წელს გამოვიდა, თუმცა ჟურნალი პირველი ნომრის გამოსვლის შემდეგ დაიხურა სახსრების არარსებობის გამო.

მაგრამ, საზოგადოების შექმნის მიუხედავად, სწორედ აბაკული განჭვრეტს, რომ საქართველოში მხოლოდ ერთი ამბულატორიის არსებობა, ფთიზიატრთა რაოდენობის სიმწირე, ტუბდაავადებულთა გამოვლენისა და აღრიცხვის არასრულყოფილება, ფართო ქსელისა და განათლების აუცილებლობა ის ძირითადი პრობლემებია, რომელთა გადაწყვეტაც მხოლოდ სახელმწიფოებრივ დონეზეა შესაძლებელი. და აბაკელია იბრძვის პარლამენტთან **დამოუკიდებელი ჯანმრთელობის დეპარტამენტის** დაარსებისთვის, რომელიც ერთიან, კოორდინირებულ და ცენტრალურ პრინციპზე დამყარებულ ხელმძღვანელობას განახოციელებდა ჯანდაცვის სფეროში, ზოგადად და, სახელდობრ, ტუბერკულოზის კონტროლში. 1919 წლის 13 ივლისს კანონპროექტი დამტკიცდა და დეპარტამენტის თავმჯდომარედ სპირიდონ ვირსალაძე დაინიშნა. ახალი დეპარტამენტის ყურადღება გამახვილებულია ეპიდემიებზე, მათ შორის ჭლექზე. თუმცა, ი. აბაკელია არ ჩერდება და **ეპიდსაწინააღმდეგო და მეცნიერული სანიტარიის** განვითარების ბაზის შექმნისთვის იღწვის. მისი მოღვაწეობის ეს უცნობი ფურცელი ცვლის ქართული მედიცინის ისტორიაში მანამდე დამკვიდრებულ აზრს, რომ სანიტარიისა და ჰიგიენის ინსტიტუტის, საერთოდ, სანიტარული სამსახურის შექმნის პირველი მცდელობა საბჭოთა პერიოდში მოხდა.1919 წელს ი. გომრთელის სახელზე ი. აბაკელიას მიერ დაწერილი **სასანიტარო ინსტიტუტის** კანონპროექტი შედის განსახილველად! ეს მაშინ, როცა ევროპის ქვეყნებში სულ ახალი წამოწყებულია მსგავსი ინსტიტუციების დაარსება. გვაქვს რა ხელთ ი. აბაკელიას მიერ შემუშავებული სასანიტარო ინსტიტუტის კანონპროექტი, შეგვიძლია შევნიშნოთ, რომ მოკლედ და გასაგებად გადმოცემულ პროექტში გათვალისწინებულია ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობა, ინსტიტუტი წარმოდგენილია მრავალპროფილურ, სამეცნიერო-პრაქტიკული და საგანმანათლებლო მიმართულებების დაწესებულებად და გვევლინება საქართველოში ისეთი დარგების განვითარების პირველწყაროდ, როგორიცაა ჰიგიენა, პროფილაქტიკური მედიცინა, ინფექციური სნეულებები (მათ შორის, ცხადია, მოიაზრება ტუბერკულოზი), სასამართლო მედიცინა, ფარმაკოლოგია, მიკრობიოლოგია, კურორტოლოგია(!). დღევანდელი გადმოსახედიდან აბაკელიას შემუშავებული ეს პროექტი მწირი რესურსების პირობებში ჯანდაცვის პოლიტიკის ეფექტიანი დაგეგმვის აკადემიურ ნიმუშია.

ტუბერკულოზთან ორგანიზებული ბრძოლა, რომლის სადავეებსაც სახელმწიფოიღებს ხელში, 1921 წლიდან იწყება. თუმცა, უსახსრობის გამო შემოწირულობების შეგროვების მიზნით გრძელდება ანტიტუბერკულოზური ღონისძიებები. მათგან ყველაზე მნიშვნელოვანი და ფართომასშტაბიანია "ტუბერკულოზის სამდღიური", რომელიც ფაქტობრივად სახეშეცვლილი თეთრი ყვავილის დღეა. პირველი სამდღიური 1922 წლის 12-14 მაისს მოეწყო და 1928 წლამდე ტარდებოდა. ამ ღონისძიების მნიშვნელობის ფართო გააზრების ფონზე, იგივე აბაკელიას აქტიური ჩართულობით, 1922 წელს საქართველოს სსრ ჯანსახკომთან ორგანიზებულიასანგანათლების საბჭოს ცენტრალური კომისია.

იოსებ აბაკელიას სტრატეგიითა და ხელმძღვანელობით საქართველოში ტუბსაწინააღმდეგო მუშაობა თავიდანვე რამოდენიმე მიმართულებით იშლება: ქსელის შექმნა, კადრების მობილიზება, სასწავლო ბაზის შექმნა, პაციენტთა გამოვლენა-დიაგნოზირების და მკურნალობის სტანდარტების შემუშავება, პროფილაქტიური კურსის შემუშავება, ტუბერკულოზის სტატისტიკის სისტემის შექმნა(!).

1921-1938 წწ. ტუბსაწინააღმდეგო მოღვაწეობის ქრონოლოგია:

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დაცემის შემდეგ აბაკელია ჩამოსცილდა პოლიტიკურ საქმიანობას და მთლიანად ტუბსაწინააღმდეგო საქმიანობაში გადაეშვა:

1921 წელს გამოაქვეყნა ტუბერკულოზის პირველი ქართული სახელმძღვანელო. გამოიკვლია ორგანიზმში ტუბერკულოზის გავრცელების მანამდე შეუსწავლელი ლიმფური გზები. ქართველ ფთიზიატრებთან ერთად საქართველოს ყველა კუთხეში ფართოდ გაშალა ტუბერკულოზთან ბრძოლის ორგანიზაციული და მეცნიერულ-პრაქტიკული საქმიანობა. დიდ ყურადღებას უთმობდა კურორტ აბასთუმნის განვითარებას. სხვათაშორის, აქ გაიცნო ილია გოპაძის სიძის, ცნობილი ბიოქიმიკოსის, შემდგომში აკადემიკოსის-ვლადიმერ ასათიანი და ელენე, რომელსაც დაუკავშირა თავისი დარჩენილი სიცოცხლე, დიდ პატივს სცემდა ილია გოპაძის შრომას აბასთუმანში ტუბსაწინააღმდეგო სადგურის შექმნასა და პირველი ტუბსანატორიუმის დაარსებას და იღწვოდა ამ კურორტის რეაბილიტაციისათვის.

1922 წელს ტიფლისში I კლინიკურ ინსტიტუტთან ა.ს. ალადაშვილის ხელმძღვანელობით, ი.კ. აბაკელიას ინიციატივით, სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯზე ორგანიზებულ იქნა ანტიტუბერკულოზური ამბულატორია -დისპანსერული ტიპის, რომლის გამგედაც ი. აბაკელია დაინიშნა.

1923 წელს საქართველოს ჯანსახკომთან იქმნება ტუბერკულოზთან ბრძოლის სექცია, რომლის ხელმძღვანელიც 1924 წლიდან იყო ი.კ. აბაკელია.

1923 წ ტუბსექციასთან იქმნება ცენტრალური მრავალდარგობრივი ტუბსაბჭო, რომლის შემადგენლობაშიც, ასევე, ვხვდებით აბაკელიას ისეთი ექიმების გვერდით, როგორებიც იყვნენ პროფესორები: გოგიტიძე, მუხაძე, ალადაშვილი, და სხვ. ასევე, გოპაძე, წულუკიძე, მაიზელსი, და სხვ.

1924 წელს ხდება მედიცინის დოქტორი, სადისერტაციო შრომა- „ტუბერკულოზის ლიმფური გზით გავრცელების ანატომიური დასაბუთების მასალები."

1925 წელს ქალაქის I საავადმყოფოში 2 ოთახში გაიხსნა ტუბსაწინააღმდეგო დისპანსერი, რომლის გამგეა აბაკელია, კონსულტანტი-ალადაშვილი.

1926 წელს მათ შეუერთდა ექ. პროფილაქტიკოსი გ. რუსიშვილი-ყორჩიბაში, რაც პრევენციული და ეპიდემიოლოგიური მიმართულების გაძლიერებას ნიშნავს. და ამავე წელს ქვეყნდება უკვე პირველი ეპიდმაჩვენებლები, ისევ აბაკელიას ავტორობით: „ყველა სახის ტუბერკულოზისაგან სიკვდილიანობის მაჩვენებელი ყოველ 10.000 მცხოვრებზე ზოგიერთ მსხვილ ქალაქში 1926 წელს“ (!). ანუ, პირველად ისახება სახელმწიფო დონეზე აღრიცხვის, სამეცნიერო სტატისტიკის საფუძვლები;

1927 წელს ჩნდება სტაციონარის ჩანასახი - 2 პალატა 7 საწოლით I კლინიკურ ინსტიტუტში.

1928 წლიდან თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის თერაპიულ ფაკულტეტთან არსებობს ტუბერკულოზის დოცენტურა.

1929 წელს, ლორთქიფანიძის ინიციატივით, ქალაქის I საავადმყოფოს ინფექციურ კორპუსში იხსნება ტუბგანყოფილება 24 საწოლზე. და მკაფიოდ იკვეთება ცენტრალური ტუბდაწესებულების აუცილებლობა. ცხადია, ამ ფუნქციასაც ი. აბაკელია იღებს თავის თავზე- გეგმავს, აშენებს, არემონტებს, აღჭურავს ტუბერკულოზის ინსტიტუტს, რითაც აგვირგვინებს ტუბსაწინააღმდეგო ქსელის განვითარებას.

1930 წელს, დისპანსერის I კორპუსში იხსნება ტიფლისის ტუბინსტიტუტი, რომელსაც გააჩნია კლინიკურ-დიანოსტიკური და ბაქტერიოლოგიური ლაბორატორიები, რენტგენოლოგიური კაბინეტი, ფიზიოთერაპიული განყოფილება, სოციალური პათოლოგიისა და პროფილაქტიკის განყოფილება, საჩვენებელი დისპანსერი, თერაპიული განყოფილება ავადმყოფთა ამბულატორიული მიღებისათვის, ბავშვთა ფიზიოთერაპიული კაბინეტი. სამეცნიერო მუშობას წარმართავს ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭო.

ამავე წელს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტში იქმნება ტუბერკულოზის კათედრა.

1933 წლიდან აბაკელია კითხულობს ტუბერკულოზის კურსს ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტში, არის ტუბერკულოზის კათედრის გამგე.

1935-1938წწ. ხელმძღვანელობს თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის მის მიერვე დაარსებულ ტუბერკულოზის კათედრას;

1936 წელს, საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს გადაწყვეტილებით, ინსტიტუტი აბასთუმანში გადააქვთ, რაც იწვევს ახლად აწყობილი ფთიზიატრიული სამსახურის დაქსაქსვას და დასუსტებას. ი. აბაკელია იბრძვის ინსტიტუტის თბილისში დასაბრუნებლად, აწყდება ადგილობრივი ხელისუფლების წინააღმდეგობას, რომელსაც თბილისის ამ ახალ, მზარდ და უკვე ცენტრად ქცეულ უბანში „ჭლექიანების“მოძრაობა არ მოსწონს, გზავნის წერილებს მოსკოვში, ითხოვს საკითხის გარკვევას, არასწორი გადაწყვეტილების მიზეზების დადგენას და ბრძანების გაუქმებას, და ასეთი წინააღმდეგობის გამოიჩენს მტრებს, ძლიერდებიან ძველი მოშურნეებიც და იგიეწირება ამ ბრძოლას.

1938 წელს დაუდეგარი ი. აბაკელია დააპატიმრეს. მას ბრალად ედებოდა ესერების ანტისაბჭოთა ორგანიზაციის ხელმძღვანელობა და ინტენსიური ძირგამომთხრელი საქმიანობა, მონაწილეობა ტერაქტების მზადებაში საბჭოთა კავშირის კპ(ბ)-ს ხელმძღვანელობისა და საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ და აქტიური ჯაშუშური საქმიანობა უცხო სახელმწიფოების სასარგებლოდ. სასჯელის ზომა: დახვრეტა, პირადი

ქონების კონფისკაცია. (1938 წლის 12 სექტემბრის სია, ხელმოწერა: სტალინი, მოლოტოვი, ჟდანოვი). რეპრესირებულია.

ცხადია, ი. აბაკელია მოგვიანებით რეაბილიტირებულ იქნა, მასზე დაიწერა მცირე ნაშრომი, მიეძღვნა დისერტაციის ერთი მუხლი, მზადდება ნარკვევი და პიესა, მაგრამ ამის მიუხედავად, თამამად შეიძლება ითქვას, რომ დღემდე ამ უდიდესი საზოგადო მოღვაწის, ექიმის, მეცნიერისა და პედაგოგის, ჯანდაცვის საუცხოო ორგანიზატორის, სამედიცინო განათლების, სამეცნიერო სტატისტიკის, ეპიდემიოლოგიისა და ფთიზიტრიის ფუძემდებლის სახელი არ არის სათანადოდ დაფასებული, არ არსებობს მისი სახელობის ქუჩა, დაწესებულება, ძეგლი ან ბიუსტი, როცა ხალხის ჯანმრთელობის, სამშობლოს განვითარებისა და წინსვლისთვის მებრძოლი ეს მრავალმხრივი ცოდნის, ნიჭისა და შესაძლებლობების ადამიანი ნამდვილად იმსახურებს საყოველთაო-სახალხო აღიარებასა და მის საამაყო საქმეთა უკვდავყოფას.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

TBILISI CITY MUNICIPAL ASSEMBLY

წერილის ნომერი: 03-032120264
თარიღი: 21/07/2021
პინი: 4775

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი ქალაქ თბილისის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო
მისამართი: თბილისი, შარტავას ქ. N7

გადაამოწმეთ: document.municipal.gov.ge

სააგენტოს უფროსს ბატონ ვიქტორ წილოსანს

გაცნობებთ, რომ სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიაში მიმდინარეობს ადმინისტრაციული საქმისწარმოების პროცესი ტუბერკულოზისა და ფილტვის დაავადებათა ეროვნული ცენტრის დირექტორის ზაზა ავალიანის 2021 წლის 22 მარტის საქმე #10/032107772-03 დაკავშირებით, რომლითაც ითხოვს თბილისის ერთ-ერთი ქუჩისთვის ექიმის, პროფესორის იოსებ აბაკელიას სახელის მინიჭებას. გთხოვთ, შეისწავლოთ დანართში, ჩვენს მიერ არაპროფესიონალურად მოხაზული ტერიტორია და გამოგვიგზავნოთ იოსებ აბაკელიას ქუჩის სიტუაციური ნახაზი ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის #14-59 დადგენილების შესაბამისად.

დანართი 7 (შვიდი) გვერდი).

მიხეილ ამაშუკელი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
სახელდებისა და სიმბოლიკის კომისია-კომისიის
თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

იოსებ აბაკელია

(1882-1938)

საქართველოში მეცნიერული ფთიზიატრიის ფუძემდებელი, საზოგადო მოღვაწე, სოციალისტ-რევოლუციონერი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

დაიბადა ქუთაისში. 1903 წელს დაამთავრა ქუთაისის კლასიკური გიმნაზია და ოდესის (ნოვოროსიის) უნივერსიტეტში შევიდა, მაგრამ რევოლუციურ მოძრაობაში მონაწილეობისათვის დააპატიმრეს და განთავისუფლების შემდეგ ოდესაში ცხოვრება აეკრძალა, რის გამოც სწავლის გაგრძელება ვერ შეძლო. 1911 წელს დაამთავრა მოსკოვის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტი.

აქტიურად მონაწილეობდა რევოლუციურ მოძრაობაში და რამდენჯერმე იყო დაპატიმრებული. 1918 წლის თებერვალში საქართველოში დაბრუნდა. ჩამოსვლისთანავე აირჩიეს ესერთა პარტიის ამიერკავკასიის საოლქო კომიტეტის წევრად და კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილედ. აქტიურად მონაწილეობდა პოლიტიკურ პროცესებში. საქართველოს პირველ ეროვნულ ყრილობაზე აირჩიეს ეროვნული საბჭოს წევრად ესერთა პარტიიდან და ფუნქციონირების ამოწურვამდე რჩებოდა ამ საკანონმდებლო ორგანოს (პარლამენტის) შემადგენლობაში. 1918 წლის 1 ივნისს, დამოუკიდებელი საქართველოს ეროვნული საბჭოს პირველ სხდომაზე, აირჩიეს ეროვნული საბჭოს მდივნის, დ. ონიაშვილის თანაშემწედ. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დაცემის შემდეგ ჩამოსცილდა პოლიტიკურ საქმიანობას. 1922 წელს მისი თაოსნობით თბილისში დაარსდა ტუბერკულოზის ამბულატორია, 1930 წლიდან კი ტუბერკულოზის რესპუბლიკური ინსტიტუტი, რომლის დირექტორიც თვითონ იყო; 1935-1938წწ. ხელმძღვანელობდა თბილისის

სამედიცინო ინსტიტუტის მის მიერვე დაარსებულ ტუბერკულოზის კათედრას; 1933 წლიდან კითხულობდა ტუბერკულოზის კურსს ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტში; 1921 წელს გამოაქვეყნა ტუბერკულოზის პირველი ქართული სახელმძღვანელო. გამოიკვლია ორგანიზმში ტუბერკულოზის გავრცელების მანამდე შეუსწავლელი ლიმფური გზები. ქართველ ფთიზიატრებთან ერთად საქართველოს ყველა კუთხეში ფართოდ გაშალა ტუბერკულოზთან ბრძოლის ორგანიზაციული და მეცნიერულ-პრაქტიკული საქმიანობა. დიდი ყურადღებას უთმობდა კურორტ აბასთუმნის განვითარებას. მიუხედავად ამ დიდი დამსახურებისა და სფეროს აქტუალობისა, მაინც რეპრესიების მსხვერპლთა შორის აღმოჩნდა.